განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი

შეფასების თარიღ(ებ)ი

29 აპრილი 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

05 ივლისი, 2021 წელი

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204379083
დაწესებულების სახე	კოლეჯი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი (0421)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ბოგვერაძე, სამართლის დოქტორი, კორძაძის საადვოკატო ბიუროს პარტნიორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა კარტოზია, სამართლის დოქტორი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, სამართლის მაგისტრი, მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - იურიდიული ფაკულტეტი; კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური, სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამაა, რომელიც ხორციელდება ქართულ ენაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრება როგორც „სამართლის ბაკალავრი“.

საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულია მასზე დაშვების წინაპირობები. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ, კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს და შედგება შემდეგი მოდულებისაგან: ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსები, არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, სპეციალობის სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსები, საჯარო სამართლის მოდული, კერძო სამართლის მოდული, სისხლის სამართლის მოდული, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი და თავისუფალი კომპონენტი. პროგრამაში შემავალი საგნების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აწყობილი. სწავლების მე-7 სემესტრში სტუდენტი სავალდებულოდ გადის საჯარო სამართლის პრაქტიკულ კურსს, კერძო სამართლის პრაქტიკულ კურსს და სისხლის სამართლის პრაქტიკულ კურსს. აღნიშნული კურსები განამტკიცებს სტუდენტის მიერ საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდულის ფარგლებში გავლილ სასწავლო დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა და მიმართულია სამართლის შესაბამის დარგში სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება/განმტკიცებაზე.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა 2020 წლის 29 აპრილს, ინტერვიუირების პროცესი მიმდინარეობდა 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, დისტანციური ფორმატით ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა ზუმით) საშუალებით. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის (შემდგომში „სასწავლებელი“) ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფის, ასევე, ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენაში.

პირველ პანელში ინტერვიუ შედგა სასწავლებლის ადმინისტრაციასთან. განიმარტა სასწავლებლის ფუნქციონირებასა და პროგრამის შემუშავებისა და სასწავლებელში განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.

ვიზიტის მომდევნო პანელი დაეთმო თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრას და განმარტებული იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების პროცესი და მასში სხვადასხვა პირთა ჩართულობა.

ვიზიტის მესამე პანელზე შეხვედრა შედგა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან. ინტერვიუ წარიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, მათ განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო.

მეოთხე პანელზე ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და განმარტებული იქნა პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

მომდევნო პანელი დაეთმო შეხვედრას აკადემიურ პერსონალთან, შედგა ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან, დისტანციურად განხორციელდა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შემდგომ შედგა შეხვედრები მომიჯნავე დარგის - საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სამართლის პროგრამის კურსდამთავრებულთან (კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების პანელში მხოლოდ ერთი მათგანის ჩართვა განხორციელდა).

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარა სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

❖ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შემოწმდა აკრედიტაციის სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ჩატარებული ვიზიტის შედეგების განხილვისა და გაანალიზების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს, კერძოდ:

№	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია სტანდარტებთან**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან**
4.	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან**
5.	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან**

- **რეკომენდაციები**
  - **1.1. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, განხორციელდეს თანამედროვე შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე
  - **1.2. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, სასწავლებლის მიერ შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების იმგვარი დოკუმენტი, რომელიც სათანადოდ ასახავს აღნიშნული პროცესის წარმართვას, პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად მისი შედეგების გამოყენების ასპექტებს
  - **1.2. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, პროგრამის შემუშავება/განვითარებაში აქტიურად იყოს ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, მათ შორის აკადემიური/მოწვეული პერსონალი და სტუდენტები
  - **3.1. სტანდარტთან მიმართებით:** მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, დაწესებულების ვებგვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ - არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი პროგრამების შესახებ, სტუდენტების ინფორმირების და აქტივობის მაჩვენებელი დაბალია. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება
  - **4.1. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო (კვლევების წარმოების, კონფერენციებში მონაწილეობის და სამეცნიერი ნაშრომების გამოქვეყნების) მიმართულებით სათანადოდ აქტიური
  - **4.2. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, გაძლიერდეს უსდ-ის მუშაობა პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი აქტივობის მიმართულებით, კერძოდ, საჭიროა დაწესებულებამ იზრუნოს და წაახალისოს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების განხორციელება
  - **4.2. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, მეტი მატერიალური რესურსი გამოიყოს პროგრამის ბიუჯეტიდან აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარების მიზნით
  - **4.4. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, ბიუჯეტის კონკრეტულად ჩამოყალიბება და ჩაშლა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ დამატებით

წარმოდგინა შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის 2020-2021 და 2022 წლების ბიუჯეტი, რომელიც ცხადყოფს, რომ დაწესებულება დაძლევს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ხარჯებს და იქნება მომგებიანი, საერთო ჯამში თავად სამართლის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი ბუნდოვანი და არაკონკრეტულია

- **5.1. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვაში აკადემიური პერსონალის რეალურად ჩართულობა, სილაბუსების შედგენა ინდივიდუალურად ავტორების მიერ
- **5.3. სტანდარტთან მიმართებით:** მიზანშეწონილია, პროგრამის განვითარებისთვის ჩატარდეს პრობლემებზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც სრულყოფილად ასახავს საჭიროებებს; ამისთვის საჭიროა ხარისხის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციასთან; მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან; განხორციელდეს შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების სისტემატური კვლევა პროგრამის რეალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - **1.1. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, სასწავლებელმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს
  - **2.2. სტანდარტთან მიმართებით:** მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურირება ეფუძნება სავალდებულო კომპონენტზე აქცენტირებას, რომლის დროსაც არ ხდება არჩევითი კურსების რაოდენობრივი დატვირთვა, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და მასში განხორციელდეს იმგვარი არჩევითი სასწავლო კურსების ინტეგრირება, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია შრომის ბაზარზე და განიცდის შესაბამისი კვალიფიკაციის იურისტების ნაკლებობას. „გაფართოება“ გულისხმობს არჩევითი სასწავლო კურსების არა რაოდენობრივად არსებითად გაზრდას და გამრავალფეროვნებას, არამედ ვიწრო სპეციალიზაციის დისციპლინების სტუდენტებისათვის შეთავაზებას, მათი დაინტერესების შემთხვევაში, შეიძინონ ცოდნა შესაბამისი მიმართულებით.
  - **2.4. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, სასწავლებელმა გააფართოვოს კურიკულუმის გარე აქტივობები და მეტად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება ამგვარ ღონისძიებებსა თუ პროგრამებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით
  - **2.5. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში, სასწავლო კურსის კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, განისაზღვროს სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა აქტივობები
  - **2.6. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია, დაწესებულებამ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის

გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა)

- **3.1. სტანდარტთან მიმართებით:** სასურველია დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - **4.3. სტანდარტთან მიმართებით:** მისასალმებელია, რომ უსდ-მ კომპიუტერული კლასებიდან და ბიბლიოთეკიდან კომპიუტერების ნაწილი სარგებლობაში გადასცა სტუდენტებს, რომელთაც არ ჰქონდათ პირადი კომპიუტერი

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი (შემდგომში „სასწავლებელი“) კოლეჯის სტატუსით ფუნქციონირებს და უფლებამოსილია, განახორციელოს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულების მისიის თანახმად დაწესებულების ძირითადი ორიენტირი კრიტიკულად მოაზროვნე, კონკურენტუნარიანი და მოტივირებული კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაა ცვალებადი ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დაწესებულების ხედვა კი მდგომარეობს თანამედროვე ევროპული ტიპის აკადემიური სივრცის შექმნაში, რომელიც „საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისთვის, აქტუალური კვლევებით/პროექტებით და მრავალფეროვანი სერვისებით ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის და სტუდენტების ინტეგრაციას გლობალურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში“ (იხ. სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026წწ; დაწესებულების ვებგვერდი https://millennium.edu.ge/wp-content/uploads/2020/05/სტრატეგიული-განვითარების-გეგმა-2020-2026.pdf)). აღსანიშნავია, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა სასწავლებელში ფუნქციონირებდა 2014 წლიდან, თუმცა 2020 წელს უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 24 თებერვლის #08 გადაწყვეტილება). თვითშეფასების ანგარიშისა და დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიურირებისას გაკეთებული განმარტების მიხედვით აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების ძირითადი ნაწილის გათვალისწინებით დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი სამართლის საბაკალავრო პროგრამა (შემდგომში „სამართლის საბაკალავრო პროგრამა“ ან „პროგრამა“), რომელიც წარდგენილია პირველადი აკრედიტაციისათვის. თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შესახებ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ პროგრამა ექვსი მიზნის გარშემოა ფორმულირებული და მიზნად ისახავს, შესძინოს სტუდენტს სიღრმისეული ცოდნა კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროების

ძირითადი თეორიების, პრინციპებისა და მოწესრიგების თავისებურებების შესახებ, ასევე, ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, სისტემის, პრინციპების, ინსტიტუტების, ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკური პრინციპების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალური სტანდარტების შესახებ. ამასთანავე, პროგრამა მიზნად ისახავს, გამოუმუშავოს სტუდენტს შემდეგი უნარები:

- კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;
- დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის დოკუმენტების, ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში მოქმედების, ასევე შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების უნარი;
- ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გამორჩევის და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

პროგრამის მიზნები ადეკვატურადაა განსაზღვრული, შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და თანხვედრაშია კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო კურსების მიზნებთან. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში და როგორი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის იგი მიმართული.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის ფარგლებში სასწავლებლის მიერ წარმოდგენილია 2018 წლით დათარიღებული „დასაქმების ბაზრის კვლევა სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის, ინჟინერიისა და კომპიუტერინგის სპეციალობისათვის“, ვიზიტისას კი სასწავლებელმა დამატებით წარმოადგინა 2019 წლით დათარიღებული დოკუმენტი „შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი იურისტებთან მიმართებით“. 2018 წლის

დოკუმენტი მწირ ინფორმაციას შეიცავს სამართლის მიმართულებით შრომის ბაზრის კვლევის თვალსაზრისით, 2019 წლის დოკუმენტი კი ზოგადად ასახავს შრომის ბაზარზე დასაქმების მოთხოვნებს და ძირითადად წარმოადგენს გარკვეულ ანალიზს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებზე (დოკუმენტს თან ერთვის დამსაქმებელთა შესაბამისი კითხვარის ფორმა, რომელიც „შევსებული“ სახით არ არის წარმოდგენილი). ამასთან, გარდა იმისა, რომ დასახელებულ შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტებში რელევანტური ინფორმაცია მწირია, განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ჩატარების/შედგენის თარიღები - კვლევები/ანალიზი განხორციელებულია 2018-2019 წლებში, რაც, ბუნებრივია, პროგრამის აკრედიტაციის პერიოდისათვის 2-3 წლის შემდგომ ვერ ასახავს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და გამოწვევებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც 2019 წლიდან დღემდე კორონავირუსის ფართოდ გავრცელებით გამოწვეულმა შედეგებმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა არამარტო შრომის ბაზარზე, არამედ ზოგადად განათლების სისტემაზეც და ახალი, სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე დააყენა იგი. ამდენად, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ პროგრამის მიზნებისა და შედეგების ჩამოსაყალიბებლად, ისევე, როგორც პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის განსასაზღვრად, უმჯობესი იქნებოდა, სასწავლებელს განეხორციელებინა პროგრამის შექმნის პერიოდისათვის ჩატარებული თანამედროვე შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი.

2019 წლით დათარიღებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგების მიხედვით ძირითადი რეკომენდაცია პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით ასახულია პროგრამაში. დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგებმა, რაც დადასტურდა ინტერვიურების პროცესშიც, აჩვენა, რომ დამსაქმებლების დაკვეთა მისთვის იმგვარი კურსდამთავსებულის შეთავაზებაა, რომელსაც თეორიულ ცოდნასთან ერთად გააჩნია ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. ამ თვალსაზრისით და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი სასწავლო კურსები შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რაც, მიმართულია კურსის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარის განვითარებაზე. ამასთან, პროგრამა ითვალისწინებს ისეთ სავალდებულო პრაქტიკულ კურსებს, როგორიცაა საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი, კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი, რომლებიც ორიენტირებულია სამართლის სამივე მოდულში - საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდულების ფარგლებში სწავლების სხვადასხვა ეტაპზე სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განმტკიცებაზე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად არ მოითხოვება ბაკალავრიატის საფეხურზე აქტიური პრაქტიკის (მაგალითად, სამართლის კლინიკის, კერძო და საჯარო ორგანიზაციებში პრაქტიკის) განხორციელება და პროგრამის შემადგენელი პრაქტიკული კომპონენტი შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლის ძირითად მოთხოვნებს, სასურველია, სასწავლებელმა აქტიურად განახორციელოს ე.წ. კურიკულუმის გარე აქტივობები, სტუდენტებისათვის შესაძლებლობის მიცემით, პრაქტიკული უნარების განვითარება-განმტკიცებისათვის. აღნიშნული შესაძლებელია,

განხორციელდეს ადგილობრივი ან საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში სტუდენტების მონაწილეობის ფინანსური, მატერიალური თუ შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსით მხარდაჭერის განხორციელებით (სრული დაფინანსება, კვალიფიციური ტრენერების სტუდენტთა ჯგუფებისათვის მიმაგრების უზრუნველყოფა), სამართლის კლინიკის მუშაობის უზრუნველყოფა, სადაც სტუდენტებს, დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცემათ, შესაბამისი სპეციალიზაციის ადვოკატის ხელმძღვანელობით გამოიყენონ მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნა რეალურ საქმეებზე მუშაობის პროცესში და, შესაბამისად, მეტად განამტკიცონ პრაქტიკული უნარები ან/და ე.წ. „გარე პრაქტიკის“ მეტად გააქტიურებით სხვადასხვა საჯარო ან კერძო ორგანიზაციებში, სადაც, სტუდენტებს, ასევე, მიეცემათ შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში და, მათი ინტერესების შესაბამისად, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები პროფესიულ გარემოში, რაც პრაქტიკული უნარების განვითარებასთან ერთად, მათ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს, ამასთანავე, შეუქმნით გარკვეულ შესაძლებლობას, პრაქტიკის ობიექტის დამსაქმებელთან დასაქმების პერსპექტივაში.

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამისა და სადოქტორო პროგრამისაგან განსხვავებით, სამართლის საბაკალავრო საფეხურზე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები შეიძლება ნაკლებად აქტუალური იყოს სამართლის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი პროგრამის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვად მიმართულებად მოიაზრება. ამასთან, ინტერნაციონალიზაცის ხელშეწყობა სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით სასწავლებლის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად სახელდება. შესაბამისად, სასურველია, სასწავლებელმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს.

პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი სავალდებულო კომპონენტების მოდულები საბოლოო ჯამში უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების მიღწევადობას, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია სასწავლებლის ხედვასა და მისიასთან. პროგრამის მიზნების რეალისტურობასა და მიღწევადობასთან მიმართებით გასათვალისწინებელია სამართლის საბაკალავრო პროგრამისათვის აუცილებელი ის ძირითადი კომპონტენტები, რაც წარმოადგენს პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევის აუცილებელ საშუალებებს: (ა) სამართლის პროგრამის სტრუქტურა, შესამისობა დარგობრივ მახასიათებლებთან, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და მისი გაჯერება, პირველ რიგში, იმგვარი სავალდებულო სასწავლო კურსებით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების განხორციელებას; (ბ) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სათანადო სასწავლო სივრცე; (გ) თანამედროვე ინტერნეტ და მატერიალურ სამართლებრივ გამოცემებზე ხელმისაწვდომობა, რაც, თავის მხრივ, მოიცავს თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკის არსებობას; (დ) მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი იურისტის მომზადებას; და (ე) პროგრამის ფინანსური მდგრადობა. პროგრამის მიზნების

მიღწევადობის რეალისტურობის ზემოაღნიშნული კომპონენტების ერთობლივად შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამის მიზნები ძირითადად რეალისტური და მიღწევადია ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების სასწავლებლის მიერ გათვალისწინების შესაბამისად. პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია სასწავლებლის ვებგვერდზე (https://millennium.edu.ge) და გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ „დასაქმების ბაზრის კვლევა სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის, ინჟინერიისა და კომპიუტერინგის სპეციალობისათვის“ (2018 წ.) ○ „შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი იურისტებთან მიმართებით“ (2019 წ.) ○ სტრატეგიული განვითარების გეგმა ○ სასწავლებლის ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, განხორციელდეს თანამედროვე შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სასწავლებელმა შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც ასახავს უშუალოდ პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რომელსაც/რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შედეგად. ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში სწავლის შედეგები ჩაშლილია ხუთ შედეგად და განისაზღვრება შემდეგი სახით:

- (A) აღწერს:
  - სამართლის არსს, სამართლის ნიშნებს, სამართლის ფუნქციებს, სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდებსა და სტადიებს, სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, განმარტების მეთოდებს, სამართლის ნორმის სახეებს, ქართული სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებსა და სამართლის ნორმის შეფარდების სტადიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებსა და ინსტიტუტებს, ასევე ძველი ქართული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს;
  - სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, მათ შორის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების საკითხებს, კონსტიტუციური სამართალწარმოების თავისებურებებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტებს, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს, ადმინისტრაციული სამართლის არსსა და პრინციპებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს,

ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს;

- სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, სამოქალაქო სამართლის წყაროებს, უმნიშვნელოვანეს ცივილისტურ კატეგორიებს, ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებს, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;
- დანაშაულის არსს, სახეებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, ასევე სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს;
- იურისტის (მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის) საქმიანობის ეთიკურ პრინციპებს, იურიდიული პროფესიების ზნეობრივ ასპექტებს, ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალურ სტანდარტებს.

უნარების ნაწილში სწავლის შედეგები ჩაშლილია ოთხ შედეგად და განისაზღვრება შემდეგი სახით:

- (B) აანალიზებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით;
- (C) არჩევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;
- (D) შეიმუშავებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- (E) შეიმუშავებს საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების, კერძოსამართლებრივი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტებს, ასევე დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას,

დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში შედეგები ჩაშლილია ორ შედეგად და განისაზღვრება შემდეგი სახით:

- (A) იცავს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და ინდივიდთა უფლებების განხორციელებასას მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;
- (B) მოიძიებს და გამოარჩევს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე საჭირო ინფორმაციას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგების ძირითად კომპონენტებს.

პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირს ასახავს სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სავალდებულო სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან ურთიერთმიმართება კი განსაზღვრულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკით. კურიკულუმის რუკა ყოველ სავალდებულო სასწავლო კურსთან მიმართებით განსაზღვრავს, თუ რა დონით ავითარებს მოცემული კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).

ვინაიდან პროგრამა პირველადი აკრედიტაციის რეჟიმშია, ბუნებრივია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ მოახდენდა პროგრამის სწავლის შედეგების ფაქტობრივად შეფასებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად შეფასების შედეგების სასწავლებლის მიერ გამოყენების ანალიზს. შესაბამისად, იმის დასადგენად, თუ რამდენად მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სასწავლებლის მიერ დადგენილი იმ პროცედურების, მექანიზმებისა და მეთოდების შეფასება, რომელსაც სასწავლებელი გამოიყენებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამის განხორციელებისას. ვიზიტის ფარგლებში სასწავლების მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი სათაურით „შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“. დოკუმენტი არ თარიღდება და გაურკვეველია, თუ როგორ მოხდა აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება. იგი მოიცავს ზოგად და მწირ ინფორმაციას სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით: აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგების შეფასების პროცესს ახორციელებს რექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი პროგრამის ხელმძღვანელის, ვიცე-რექტორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობითა და

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით. ჯგუფი ადგენს შეფასების გეგმას შესაბამისი ეტაპების განსაზღვრით და შეფასების პროცესში იყენებს შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. გარდა იმისა, რომ დოკუმენტში ასახული ინფორმაცია შეფასების პროცესისა და გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ მწირი და არასრულყოფილია, დოკუმენტით არ დგინდება სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და არ არის გამოკვეთილი, თუ როგორ განხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და დადარება სამიზნე ნიშნულებთან. ამდენად, მიზანშეწონილია, სასწავლებლის მიერ შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების იმგვარი დოკუმენტი, რომელიც სათანადოდ ასახავს აღნიშნული პროცესის წარმართვას, პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად მისი შედეგების გამოყენების ასპექტებს.

პროგრამასთან მიმართებით სასწავლებელს შესრულებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები. თუმცა, შრომის ბაზრის კვლევის ამსახველი 2018 წლითა და 2019 წლით დათარიღებული დოკუმენტები შეიცავს მწირ ინფორმაციას შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და გამოწვევებზე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი პროგრამის შედეგების ჩამოსაყალიბებლად. ამდენად, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ პროგრამის მიზნებისა და შედეგების ჩამოსაყალიბებლად, ისევე, როგორც პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის განსასაზღვრად, უმჯობესი იქნებოდა, სასწავლებელს განეხორციელებინა თანამედროვე შრომის ბაზრის შედარებით დეტალური ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით არ ფიქსირდება წერილობითი სახით დოკუმენტურად ასახული ინფორმაცია პროგრამის შემუშავებიდან მის დამტკიცებამდე განხორციელებული ეტაპების შესახებ. წარმოდგენილია ინფორმაცია თვითშეფასების ჯგუფის შექმნისა და მისი შეხვედრების/სხდომების თაობაზე, რაც უშუალოდ ეხება პროგრამის თვითშეფასების პროცესის დაგეგმვისა და შესაბამისი ანგარიშის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას და არა უშუალოდ პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესს. ამასთან, თვითშეფასების ჯგუფში ჩართულნი იყვნენ სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებელი. ჯგუფის მუშაობაში არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტს და მოწვეულ პერსონალს. მართალია, თვითშეფასების ჯგუფის პანელთან ინტერვიუს დროს დამსაქმებელმა და დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობისა და დამსაქმებლის გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინება, თუმცა ინტერვიუს შესაბამის პანელზე წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას არ გამოიკვეთა მისი ძირითადი ნაწილის აქტიური ჩართულობა პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო პროგრამა

- თვითშეფასების ანგარიში
- „დასაქმების ბაზრის კვლევა სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის, ინჟინერიისა და კომპიუტერინგის სპეციალობისათვის“ (2018 წ.)
- „შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი იურისტებთან მიმართებით“ (2019 წ.)
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა
- „შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, სასწავლებლის მიერ შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების იმგვარი დოკუმენტი, რომელიც სათანადოდ ასახავს აღნიშნული პროცესის წარმართვას, პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდებისა და პროგრამის გასაუმჯობესებლად მისი შედეგების გამოყენების ასპექტებს
- მიზანშეწონილია, პროგრამის შემუშავება/განვითარებაში აქტიურად იყოს ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, მათ შორის აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და ხელს უწყობს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ინგლისური ენის გარდა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ბარიერის დაძლევით, ინგლისურ ენაში კი სავალდებულოა დადგენილი უმაღლესი ქულის 60%-ის გადალახვა. პროგრამაზე სტუდენტთა მიღება, ასევე, შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების

გარეშე, მობილობის წესით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მიზნებისა და შედეგების, პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ ასახულია პროგრამაში, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://millennium.edu.ge და საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის წესის“ შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხილვის, შეფასების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურებს, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა ხორციელდება შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებენ ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები. შემუშავებულ პროგრამის დადებითი შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი პროგრამას განსახილველად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ამ უკანასკნელის დადებითი დასკვნის შემთხვევაში კი პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულად ასახავს უშუალოდ პროგრამის შემუშავებისა და მისი დამტკიცების პროცესს. წარმოდგენილია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები (ჯამში 5 სხდომის ჩატარების ოქმი), სადაც ასახულია უშუალოდ თვითშეფასების პროცესის დაგეგმვისა და ანგარიშის შემუშავების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც თავისთავად არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის წესის“ შესაბამისად პროგრამის შემუშავებისათვის დადგენილი პროცედურების ამსახველი სრული ინფორმაციის შესახებ დოკუმენტებს. მართალია, აღნიშნული წესის შესაბამისად, დაწესებულებას ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა, აღნიშნული კვლევა შედარებით ფორმალიზირებულად უნდა ჩავთვალოთ, ვინაიდან აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი კვლევის ამსახველი ორივე დოკუმენტი 2018-2019 წლებით თარიღდება და ვერ ჩაითვლება კვლევის ჩატარებიდან 2-3 წლის შემდგომ პროგრამის შემუშავების პროცესში და ამ მიზნით განხორციელებულ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის რეალურად ამსახველ დოკუმენტებად. ამასთანავე, თავად თვითშეფასების ჯგუფში ჩართულნი იყვნენ სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებელი. ჯგუფის მუშაობაში არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტს და მოწვეულ პერსონალს. მართალია, თვითშეფასების ჯგუფის პანელთან ინტერვიუს დროს დამსაქმებელმა და სასწავლებლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობისა და

დამსაქმებლის გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინება, თუმცა ინტერვიუს შესაბამის პანელზე წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას არ გამოიკვეთა მისი ძირითადი ნაწილის აქტიური ჩართულობა პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში. ასევე, რიგ სილაბუსებთან დაკავშირებით ნაკლებად გამოიკვეთა სილაბუსის ავტორების ინდივიდუალური მიდგომა. ზოგიერთი მათგანის განმარტებით, მათ უმნიშვნელო ცვლილებები განახორციელეს დაწესებულების მხრიდან მათთვის მიწოდებულ, გამზადებულ სილაბუსებში. აქედან გამომდინარე, საკითხი შეიძლება დადგეს, თუ რამდენად შეიძლება პროგრამა მივიჩნიოდ ინდივიდუალიზირებულ პროგრამად, რომელიც თანამედროვე შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით სხვადასხვა დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობის შედეგად განხორციელებული სამუშაოების ერთგვარ „პროდუქტს“ უნდა წარმოადგენდეს.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიურირების შედეგებით დადასტურდა, რომ 2019 წლით დათარიღებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგების მიხედვით ძირითადი რეკომენდაცია პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით ასახულია პროგრამაში. პროგრამის სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ იწყება შესავალი/ზოგადი სასწავლო კურსებით და სრულდება პრაქტიკულით, ძირითადი აქცენტი სავალდებულო კომპონენტს ეთმობა და არ ხდება პროგრამის არჩევითი კურსების რაოდენობრივად დატვირთვა.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს *(დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 2.1. სტანდარტი),* სწავლის შედეგებსა *(დეტალურად იხ. წინამდებარე დასკვნის 1.2. სტანდარტი)* და სტრუქტურას. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. კურიკულუმი მოიცავს 240 კრედიტს და შედგება შემდეგი მოდულებისაგან: ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსები, არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, სპეციალობის სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსები, საჯარო სამართლის მოდული, კერძო სამართლის მოდული, სისხლის სამართლის მოდული, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი და თავისუფალი კომპონენტი. აღნიშნული მოდულებიდან სავალდებულო კომპონენტებია:

- **სავალდებულო კომპონენტები:**

  - ***ინგლისური ენის კომპონენტი*** - ჯამში 30 ECTS - მოიცავს ინგლისური ენის 6 კრედიტიან 4 სასწავლო კურსს, ჯამში 24 კრედიტის მოცულობით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი და მეორე სასწავლო წლისათვის და ინგლისური ენა იურისტებისათვის 6 კრედიტიან 1 სასწავლო კურსს, რომლის სწავლებაც ხორციელდება მესამე სასწავლო წელს. ამასთან, პროგრამა, ითვალისწინებს იმ სტუდენტების ინტერესებს, რომლებსაც გააჩნიათ B2 ან უფრო მაღალი დონის ინგლისური ენის ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს ინგლისური ენის ცოდნის

შესაბამისი დონის სერტიფიკატით ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით. ამ შემთხვევაში სტუდენტი გათავისუფლდება ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლებისაგან, სავალდებულოდ გაივლის მხოლოდ 6 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსს „ინგლისური ენა იურისტებისათვის“, ხოლო ინგლისური ენის სავალდებულო მოდულის ფარგლებში დასაგროვებელი 30 კრედიტიდან დარჩენილ 24 კრედიტს აითვისებს საკუთარი არჩევანის მიხედვით სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსების ხარჯზე. ზემოაღნიშნულის შესაბამისად ინგლისური ენის სასწავლო კურსების განსხვავებულად შეთავაზება ინგლისური ენის დაუფლების განსხვავებული დონეების მიხედვით გამართლებულია სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე მათი ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონის გათვალისწინებით. სტუდენტები, რომლებიც B2 ან უფრო მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურს, თავისუფლდებიან ინგლისური ენის სასწავლო კურსებისაგან და გაივლიან მხოლოდ იურისტებისათვის საჭირო ე.წ. პროფესიული ინგლისურის სასწავლო კურსს.

- ***არასპეციალობის სასწავლო კურსები*** - ჯამში 12 ECTS - მოიცავს წერითი და ზეპირი კომუნიკაციებისა (6 ECTS) და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა (6 ECTS) და სავალდებულო კურსებს, რომლებიც ისწავლება სწავლების პირველ წელს. აღნიშნული სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტების წერითი და ზეპირი საკომუნიაციო უნარების, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარებაზე.
- ***სპეციალობის სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსები*** - ჯამში 18 კრედიტი. მოიცავს შესავალი სამართალმცოდნეობაში და ქართული სამართლის ისტორიის სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომლებიც ისწავლება სწავლების პირველ სემესტრში.
- ***საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები*** (50 კრედიტი), ***კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები*** (55 კრედიტი) და ***სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები*** (30 კრედიტი) - ჯამში 135 კრედიტი - ეთმობა საბაკალავრო საფეხურზე აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციის გამომუშავებას და მოიცავს სასწავლო კურსებს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის დისციპლინებში, რომლებიც ლოგიკური თანმიმდევრობით ნაწილდება სწავლების სხვადასხვა სემესტრში.
- ***სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი*** - მოიცავს 5 კრედიტიან სასწავლო კურსს „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“, რომელიც ისწავლება სწავლების მე-7 სემესტრში და ორიენტირებულია სტუდენტის მიერ ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსისა და მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური

პრინციპების შესახებ ცოდნის მიღებაზე.

- **არჩევითი კომპონენტები:**
  - ***სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები*** - ჯამში 6 კრედიტი - აღნიშნული მოდულის ფარგლებში შემოთავაზებული 6 კრედიტიანი 2 სასწავლო კურსიდან (რომის სამართლის საფუძვლები, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია) პირველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსი და ჯამში დააგროვოს 6 კრედიტი.
  - ***საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები*** (10 კრედიტი), ***კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები*** (10 კრედიტი) და ***სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები*** (10 კრედიტი) - ჯამში 30 კრედიტი - მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მისი ინტერესის შესაბამისი მიმართულებით სამართლის შესაბამის დარგში - საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის არჩევითი მოდულის ფარგლებში მიიღოს/გაიფართოვოს ცოდნა და ჯამში დააგროვოს 30 კრედიტი.
  - ***თავისუფალი კომპონენტი*** - მოიცავს სასწავლებლის სხვა საბაკალავრო პროგრამებში ინტეგრირებულ სასწავლო კურსებს, რომელთა არჩევის შესაძლებლობაც, არაუმეტეს ჯამში 10 კრედიტის მოცულობით, სტუდენტს გააჩნია ამ კურსებისათვის განსაზღვრული შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად.

ამდენად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტის მიერ ასათვისებელი 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **ინგლისური ენის კომპონენტი** - 30 ECTS
- **არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები** - 12 ECTS
- **სპეციალობის სავალდებულო საბაზისო სასწავლო კურსები** - 18 ECTS (მათ შორის, სავალდებულო სასწავლო კურსები - 12 ECTS, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსები - 6 ECTS
- **საჯარო სამართლის მოდული** - 60 ECTS (მათ შორის სავალდებულო - 50 ECTS, არჩევითი - 10 ECTS)
- **კერძო სამართლის მოდული** - 65 (მათ შორის სავალდებულო - 55 ECTS, არჩევითი - 10 ECTS)
- **სისხლის სამართლის მოდული** - 40 ECTS (მათ შორის სავალდებულო - 30 ECTS, არჩევითი - 10 ECTS)
- **სპეციალობის სავალდებულო კურსი** - 5 ECTS

❖ **თავისუფალი სასწავლო კომპონენტი** - 10 ECTS.

კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია ეფუძნება საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობის ჯამს. ერთი კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჯამს. სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ადექვატურადაა განსაზღვრული.

ამდენად, სავალდებულო კომპონენტების სასწავლო კურსების ჯამური მოცემულობა შეესაბამება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისათვის კანონმდებლობით დადგენილ კრედიტების გადანაწილების მოცულობას და უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის დაინტერესების მიხედვით სასწავლო კურსების არჩევითობა, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს საკუთარი არჩევანის მიხედვით განავითაროს საკუთარი პროფილი და მისი ინტერესების შესაბამისად მიიღოს ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურირება ეფუძნება სავალდებულო კომპონენტზე აქცენტირებას, რომლის დროსაც არ ხდება არჩევითი კურსების რაოდენობრივი დატვირთვა, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და მასში განხორციელდეს იმგვარი არჩევითი სასწავლო კურსების ინტეგრირება, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია შრომის ბაზარზე და განიცდის შესაბამისი კვალიფიკაციის იურისტების ნაკლებობას (გაფართოვება გულისხმობს არჩევითი სასწავლო კურსების არა რაოდენობრივად არსებითად გაზრდას და გამრავალფეროვნებას, არამედ ვიწრო სპეციალიზაციის დისციპლინების სტუდენტებისათვის შეთავაზებას, მათი დაინტერესების შემთხვევაში, შეიძინონ ცოდნა შესაბამისი მიმართულებით). ამ თვალსაზრისით, სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შრომის ბაზრის კვლევა განსაკუთრებით შრომით ბაზარზე სამართლის ვიწრო სპეციალიზაციაში შესაბამისი კვალიფიციური კადრის ნაკლოვანების გამოვლენის მიზნით და ამ მხრივ განსაზღვროს სტუდენტებისათვის დამატებით შესათავაზებელი არჩევითი სასწავლო კურსები. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სტუდენტის, როგორც საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულისათვის, „შეავსოს“ ამგვარი დანაკლისი ბაზარზე, მისი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, და დასაქმდეს.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა აღწერს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ურთიერთმიმართებას პროგრამის სწავლის შედეგებთან. ამასთან, პროგრამის, სასწავლო გეგმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზით დგინდება, რომ პროგრამაში შემავალი საგნების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა აწყობილი. სწავლების მე-7 სემესტრში სტუდენტი სავალდებულოდ გადის საჯარო სამართლის პრაქტიკულ კურსს (5 კრედიტი), კერძო სამართლის პრაქტიკულ კურსს (5 კრედიტი) და სისხლის სამართლის პრაქტიკულ კურსს (5 კრედიტი). აღნიშნული კურსები განამტკიცებს სტუდენტის მიერ საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდულის ფარგლებში გავლილ სასწავლო დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა და მიმართულია სამართლის შესაბამის დარგში სტუდენტის პრაქტიკული უნარების

განვითარებაზე. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის არქიტექტონიკა და მისი შინაარსი შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო პროგრამის საფუძველზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ამასთან, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია პროგრამის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები ○ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის წესი ○ თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრების სხდომების ოქმები ○ კურიკულუმის რუკა ○ სასწავლო გეგმა ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურირება ეფუძნება სავალდებულო კომპონენტზე აქცენტირებას, რომლის დროსაც არ ხდება არჩევითი კურსების რაოდენობრივი დატვირთვა, სასურველია, არჩევითი საგნების აღნიშნული მოდული გაფართოვდეს და მასში განხორციელდეს იმგვარი არჩევითი სასწავლო კურსების ინტეგრირება, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია შრომის ბაზარზე და განიცდის შესაბამისი კვალიფიკაციის იურისტების ნაკლებობას. „გაფართოება“ გულისხმობს არჩევითი სასწავლო კურსების არა რაოდენობრივად არსებითად გაზრდას და გამრავალფეროვნებას, არამედ ვიწრო სპეციალიზაციის დისციპლინების სტუდენტებისათვის შეთავაზებას, მათი დაინტერესების შემთხვევაში, შეიძინონ ცოდნა შესაბამისი მიმართულებით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში ნათლადაა ჩამოყალიბებულია კურსის მიზანი, მიზნის შესაბამისად - საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სასწავლო კურსის დასახელება, სასწავლო კურსის საფეხური, კრედიტების რაოდენობა, საათების გადანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, კურსის განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია, სასწავლო კურსის მიზანი, დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასების სისტემა, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო მასალა, სწავლის შედეგები.

თითოეული სასწავლო კურსი ლოგიკურად არის ორგანიზებული სემესტრების და წლების მიხედვით, რაც ნათლად ჩანს პროგრამის სტრუქტურასა და კურიკულუმის რუკაზე. კრედიტის მოცულობის გამოანგარიშება ხდება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალური შეფასებით. შესაბამისად, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კონკრეტული საგნის სპეციფიკას, მოცულობასა და მისი შესწავლისათვის აუცილებელ დროს.

კურსის შეფასებაში გამოიყენება სხვადასხვა შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. გამოიყენება როგორც სტანდარტული შუალედური და ფინალური გამოცდები, ასევე საშინაო დავალებები, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და ა.შ. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით ბაკალავრიატის საფეხურისათვის დადგენილ ცოდნასა და უნარებს. სასწავლო კურსები მოიცავს სამართლის სფეროში არსებული ძირითადი თეორიებისა და პრინციპების, საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მოდულების ფარგლებში ფუნდამენტური საკითხების მომცველ სასწავლო კურსებსა და ცოდნის პრაქტიკული უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, ამასთან არჩევითი კურსების მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესის შესაბამისად, მათ მიერ არჩეული საჯარო სამართლის, კერძო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით მიიღონ შესაბამისი ცოდნა. სასწავლო კურსის სილაბუსების მიხედვით ირკვევა, რომ შერჩეული სასწავლო სახელმძღვანელოები და შეთავაზებული ელექტრონული ლიტერატურა ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ორიენტირებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებით განსაზღვრული სასწავლო მასალები წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია სასწავლებლის ბიბლიოთეკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ➢
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებული რიგი სასწავლო კურსები თეორიულ საკითხებთან ერთად მოიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტებით. სწავლების ბოლო წელს პროგრამა ითვალისწინებს ისეთ სავალდებულო პრაქტიკულ კურსებს, როგორიცაა საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი, კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი და სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი, რომლებიც ერთგვარად ახორციელებს შეჯამებას იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გამოიყენებს სტუდენტი სამართლის სამივე მოდულში - საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მოდულების ფარგლებში - სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში და, საბოლოო ჯამში, ემსახურება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცებას. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად არ მოითხოვება ბაკალავრიატის საფეხურზე აქტიური პრაქტიკის (მაგალითად, სამართლის კლინიკის, კერძო და საჯარო ორგანიზაციებში პრაქტიკის) განხორციელება და პროგრამის შემადგენელი პრაქტიკული კომპონენტი შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლის ძირითად მოთხოვნებს, სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოვოს ე.წ. კურიკულუმის გარე აქტივობები, სტუდენტებისათვის შესაძლებლობის მიცემით, პრაქტიკული უნარების განვითარება-განმტკიცებისათვის. აღნიშნული შესაძლებელია, განხორციელდეს ადგილობრივ ან საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებში სტუდენტების მონაწილეობის ფინანსური, მატერიალური თუ შესაბამისი კვალიფიციური ადამიანური რესურსით მხარდაჭერის განხორციელებით (სრული დაფინანსება, კვალიფიციური ტრენერების სტუდენტთა ჯგუფებისათვის მიმაგრების უზრუნველყოფა), სამართლის კლინიკის მუშაობის უზრუნველყოფა, სადაც სტუდენტებს, დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცემათ, შესაბამისი სპეციალიზაციის ადვოკატის ხელმძღვანელობით

გამოიყენონ მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნა რეალურ საქმეებზე მუშაობის პროცესში და, შესაბამისად, მეტად განამტკიცონ პრაქტიკული უნარები ან/და ე.წ. „გარე პრაქტიკის“ მეტად გააქტიურებით სხვადასხვა საჯარო ან კერძო ორგანიზაციებში, სადაც, სტუდენტებს, ასევე, მიეცემათ შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში და, მათი ინტერესების შესაბამისად, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები პროფესიულ გარემოში, რაც პრაქტიკული უნარების განვითარებასთან ერთად, მათ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს, ამასთანავე, შეუქმნით გარკვეულ შესაძლებლობას, პრაქტიკის ობიექტის დამსაქმებელთან დასაქმების პერსპექტივაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სასწავლებელი ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. სასწავლებელს გაფორმებული აქვს მემორანდუმები უცხოურ უნივერსიტეტებთან უნივერსიტეტებს შორის გაცვლითი პროგრამების, ერთობლივი კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის, განათლების პროგრამებისა და კონფერენციების განხორციელების მიმართულებით. თუმცა, ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, სასწავლებელმა გაზარდოს აქტივობა, რომელიც განხორციელდება უშუალოდ სამართლის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისათვის. ამასთან, ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი კურიკულუმის გარე აქტივობების შესახებ, უფრო მეტიც, გამოიკვეთა მათი ინტერესის გარკვეულწილად არარსებობაც აღნიშნულ აქტივობებში ჩართვის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ○ უნივერსიტეტებსა და დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სასწავლებელმა გააფართოვოს კურიკულუმის გარე აქტივობები და მეტად უზრუნველყოს სტუდენტების დაინტერესება ამგვარ ღონისძიებებსა თუ პროგრამებში მათი აქტიური ჩართვის მიზნით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებელი სწავლების მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის საფეხურს და სასწავლო კურსის შინაარსს, უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსითა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და აკმაყოფილებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება #3-ის მოთხოვნებს.

სასწავლო კურსების სილაბუსები ასახავს კურსის მიზანს, მისაღწევ შედეგებს და მიზნების მიღწევის მეთოდიკას. სასწავლო პროცესში სასწავლო კურსით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება ისეთი მეთოდებით, როგორიცაა, ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი და პრაქტიკული მუშაობა. სასწავლო კურსების სილაბუსებში გხვდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა, მაგალითად პრეზენტაცია, იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა, თუმცა, სილაბუსები არ გამოირჩევა შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსისა და სასწავლო ამოცანების გათვალისწინებით მრავალფეროვანი აქტივობების განსაზღვრით, რაც, სასურველია, განხორციელდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსის სილაბუსები
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში, სასწავლო კურსის კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, განისაზღვროს სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა აქტივობები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს „უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი“-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის

5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება საგანმანათლბლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება კი ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.

შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(ß) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადების შემდგომ. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა არ ემატება. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ

ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტები სათანადოდ არ ინტერესდებიან მიღებული შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ ინფორმაციის მიღება/ანალიზით. მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წარმოებდეს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება; სასურველია დაიხვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

სასწავლო კურსის სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები სტუდენტებისათვის გასაგებად არის განსაზღვრული. შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოიცავს ზეპირი და წერითი გამოკითხვის კომპონენტს. შეფასების კომპონენტებისას გამოყენებულია შეფასების ადექვატური მეთოდები და კრიტერიუმები (კაზუსის ამოხსნა, პრაქტიკული დავალების შესრულება, ტესტი, ღია კითხვა, დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაცია და სხვა).

სასწავლებელში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი და უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების გასაჩივრება. შუალედური/დასკვნითი ძირითადი და დამატებით გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით, რექტორის აქტით მტკიცდება მუდმივმოქმედი სააპელაციო კომისია.

სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე სამართლის სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება სასწავლო კურსების შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები
- საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა
- შედეგების შეფასების ანალიზი
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების პროგრამების განვითარების მიზნით გამოყენების ანგარიში
- დაწესებულების ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს „უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი“-ს სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სამართლის სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, სტუდენტებისათვის გასაგებად არის აღწერილი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შიდასამართლებრივი აქტების თანახმად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი, თუმცა

დაწესებულების სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესის შესახებ სტუდენტები სათანადოდ ინფორმირებულები არ არიან.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, დაწესებულების ვებგვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ - არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი პროგრამების შესახებ, სტუდენტების ინფორმირების და აქტივობის მაჩვენებელი დაბალია.

რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება.

აღსანიშნავია, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები: სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცე. დაწესებულება აღჭურვილია იმიტირებული სასამართლო სხდომის დარბაზით. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც მათ ხელს შეუწყობს იურისტის პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. დაწესებულებას აქვს წვდომა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებზე, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ სტუდენტები სრულყოფილად არ არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით. სასურველია, დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში, ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსებას თუ თანადაფინანსებას საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ტიპის აქტივობებში.

დაწესებულება უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სწავლის დასაფინანსებლად.

დაწესებულება თანამშრომლობს საზღვარგარეთის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტებსა და აკადემიურ

პერსონალს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით აქტივობებში. ამასთან, არსებული ენობრივი ბარიერებიდან გამომდინარე, გაცვლითი სასწავლო პროგრამებით სარგებლობა, სამეცნიერო კვლევით აქტივობებში მონაწილეობა - სტუდენტებისთვის შეზღუდულია. დაწესებულება ზრუნავს თავისი სტუდენტების/კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებაზე, აწვდის მათ ინფორმაციას ვაკანსიების/კარეიერული განვითარების ხელშემწყობი სხვა აქტივობების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამის სილაბუსები ○ საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ○ შედეგების შეფასების ანალიზი ○ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების პროგრამების განვითარების მიზნით გამოყენების ანგარიში ○ დაწესებულების ვებგვერდი ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ○ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, დაწესებულების ვებგვერდი), რომელიც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ინფორმაცია დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის - კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ - არსებული სიახლეების, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციების თუ გაცვლითი პროგრამების შესახებ, სტუდენტების ინფორმირების და აქტივობის მაჩვენებელი დაბალია. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს და დანერგოს სტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური

ინფორმირება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია დაწესებულების მიერ მოხდეს სტუდენტთა სრულყოფილი ინფორმირება სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ **არ ფასდება**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ➢
შეფასება ο **არ ფასდება**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის (შემდგომში - უსდ) სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესორი, 17 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტი და 13 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა არის 23, ხოლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა - 36.

სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე ჯერ-ჯერობით არ ირიცხება არცერთი სტუდენტი. უსდ-ის განმარტებით პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში იგეგმება 30 სტუდენტის მიღება. ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა, პირველ ჯერზე, უსდ-მ 30-ზე ნაკლები სტუდენტი მიიღოს.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და უსდ-ის მიერ დაგეგმილი მისაღები სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა არის 1,1. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,3. აღნიშნული მონაცემები საბაკალავრო საფეხურისათვის მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, იმის გათვალისწინებითაც კი, თუკი ოთხივე კურსზე 30-30 სტუდენტი ისწავლის. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად.

ამასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უსდ-ს არ წარმოუდგენია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა. უსდ-ის განმარტებით დატვირთვის სქემა არ შედგენილა, რადგან პროგრამაზე ჯერ არ არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და სასწავლო პროცესი არ ხორციელდება.

პროგრამის სილაბუსებით და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი გამოთქვამს მზადყოფნას, ჩაერთოს სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი 19 პროცენტია. შესაბამისად, პერსონალის დენადობის მაჩვენებელი არ არის ისეთი მაღალი, რომ ხელი შეეშალის პროგრამის

მდგრადობას.

უსდ-ის აკადემიური პერსონალი უხვადაა დაკომპლექტებული დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.

დაწესებულების ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით. მოწვეული სპეციალისტების პროგრამაში ჩართვა ხორციელდება შიდა რეგულაციების შესაბამისად.

უსდ-ის აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები და მიღებული აქვთ მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში. თუმცა, აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი ნაკლებად აქტიურია სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ავტობიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის რამოდენიმე წარმომადგენელს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ განუხორციელებია სამეცნიერო კვლევა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაცია. გადამოწმდა, როგორც უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ისე - მათი პირადი საქმეები. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, აკადემიური პერსონალის ზოგიერთ წარმომადგენელს საერთოდ არ უფიქსირდება სამეცნიერო პუბლიკაცია. საჭიროა, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ მოწვეული პერსონალს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა არის 33. სააკრედიტაციოდ წარმოდენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა ადმინისტრაციული პერსონალის კომპენტენტურობაც. შესაბამისად, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და კომპეტენცია საკმარისია და ფარავს სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო (კვლევების წარმოების, კონფერენციებში მონაწილეობის და სამეცნიერი ნაშრომების გამოქვეყნების) მიმართულებით სათანადოდ აქტიური

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი (შემდგომში - უსდ) რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

უსდ რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და აანალიზებს ამ შედეგებს.

უსდ-ს შემუშავებული აქვს: აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი; დაინტერესებულ მხარეთა გამოკითვის კითხვარი; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კომპლექსური კვლევის კითხვარი; პედაგოგიური საქმიანობის შეფასების კითხვარი. ამ დოკუმენტების თანახმად, კვლევები ამ კითხვარების საფუძველზე სხვადასხვა პერიოდულობით ტარდება.

უსდ-ს ასევე შემუშავებული აქვს სპეციალური ფორმა, რომლითაც დგინდება სტუდენტთა დამოკიდებულება მილენიუმსა და მისი ცალკეული ასპექტებისადმი, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების მიმართ. სპეციალურ ფორმაში მითითებულია, რომ ეს კვლევა ტარდება მეექვსე სემესტრის ბოლოს.

2019 წელს უსდ-ს ჩატარებული აქვს აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, რომლის შედეგებიც საქმის მასალებში PP პრეზენტაციის ფორმითაა წარმოდგენილი.

2017 წელს უსდ-ს ჩატარებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, სტუდენტების მხრიდან, რომლის შედეგებიც, ასევე PP პრეზენტაციის ფორმითაა წარმოდგენილი საქმის მასალებში.

2018-2019 წლებში კი, უსდ-ს ჩატარებული აქვს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/ პერსონალის გამოკითხვა და განხორციელებული აქვს შედეგების ანალიზი, რაც წერილობითი დოკუმენტის სახითაა წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტებში.

ამასთან, 2018-2019 წლებში უსდ-ს ჩატარებული აქვს სტუდენტთა გამოკითხვა, მათ შორის აკადემიური პერსონალის შეფასების ჭრილში, რომლის შედეგებიც, ასევე PP პრეზენტაციის ფორმითაა წარმოდგენილი საქმის მასალებში.

უსდ-ს, ასევე, წარმოდგენილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში. ამ დოკუმენტის თანახმად, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგად, ძირითადი გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი საკითხები იყო დამატებითი ტრენინგების აუცილებლობა და ელექტრონული რესურსების გაუმჯობესება. შესაბამისად, უსდ-ის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა ტრენინგები ადმინისტრაციული პერსონალისთვის და დაიწყო ტექნიკური ბაზის განახლება.

უსდ-ის მიერ, ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა სახის კითხვარი, მათ შორის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კითხვარი. დადასტურდა, რომ დაწესებულება იყენებს ამ კითხვარს და ახდენს შედეგების ანალიზს. კერძოდ, უსდ-ის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი

გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში“ შეჯამებულია არაერთი საკითხი, მათ შორის, ანგარიშის თანახმად უსდ-მ გამოკვეთა, რომ საჭიროა პერსონალის მეტი ჩართულობა საერთაშორისო კვლევით აქტივობებში, საგრანტო პროექტებსა და მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა. ამრიგად, უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს, როგორც მათი სასწავლო, ასევე, კვლევითი საქმიანობის შეფასებას. ასევე, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის ჭრილში, ასევე, საჭიროა განხილულ იქნეს უსდ-ის როლი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაში, ასევე, მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობაში. კერძოდ, მნიშვნელოვანია შეფასდეს:

- ხორციელდება თუ არა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები;
- შექმნილია თუ არა უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და სხვა).
- მონაწილეობს თუ არა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.

უსდ-მ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლითაც დადგენილია „შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის გამოყენებითი კვლევების განვითარების სტრატეგია და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, „მილენიუმის მისიის, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის და კვლევების განვითარების მიზნით ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ვიცე-რექტორი კურირებს“. ამავე დოკუმენტის თანახმად, კვლევების განვითარებაზე პასუხისმგებელი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ გამოყენებითი კვლევის განვითარების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კვლევითი კომპონენტის დაგეგმვას, შეფასების პროცესების კოორდინაციას, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერას, კვლევის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვის კონტროლს.

ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ კვლევების განვითარების ხელშემწყობი აქტივობების განსახორციელებლად ფაკულტეტი:

- შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევვების ღონისძიებების გეგმას;
- ორგანიზებას უწევს სამეცნიერო აქტივობებს (კონფერენციები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები და სხვ.);
- მონაწილეობს კვლევითი ნაშრომების რეცენზირების პროცესში;

- ადმინისტრირებას უწევს მილენიუმის კვლევით გრანტებს;
- ამზადებს დასკვნას აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე და შეიმუშავებს რეკომენდაციებს კვლევების განვითარებისთვის;
- უზრუნველყოფს მილენიუმის ფარგლებში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას და მონაწილეობს პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაში;
- საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებთან ერთად ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით;
- კოორდინირებას უწევს ერთობლივ საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევით პროექტებს მილენიუმის სახელით.

ამავე დოკუმენტშია განსაზღვრული, რომ მილენიუმში კვლევითი საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება:

ა) მილენიუმის ბიუჯეტიდან კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი სახსრებით;

ბ) შიდა გრანტის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით;

გ) გარე წყაროებიდან მიღებული სახსრებით.

ამრიგად, უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო მოღვაწეობის სტრატეგია. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უსდ-ის აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წარმომადგენელი ნაკლებად აქტიურია სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ავტობიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის რამოდენიმე წარმომადგენელს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ განუხორციელებია სამეცნიერო კვლევა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაცია. გადამოწმდა, როგორც უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ისე - მათი პირადი საქმეები. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, აკადემიური პერსონალის ზოგიერთ წარმომადგენელს საერთოდ არ უფიქსირდება სამეცნიერო პუბლიკაცია. საჭიროა აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური და უსდ-მ იზრუნოს მათი სამეცნიერო მოღვაწეობის წახალისებაზე.

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია უსდ-ის მიერ ორგანიზებული ორი კონფერენციის შესახებ ინფორმაცია. აქედან ერთი კონფერენცია გაიმართება 2021 წლის 21 მაისს. აკადემიური პერსონალი არ ფლობდა ინფორმაციას ამ კონფერენციების შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის თანახმად, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები საკმაოდ მწირია, მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია საკმაოდ დიდი რაოდენობის აკადემიური პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ის მიერ შემუშავებული აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი
- უსდ-ის მიერ შემუშავებული დაინტერესებულ მხარეთა გამოკითვის კითხვარი
- უსდ-ის მიერ შემუშავებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კომპლექსური კვლევის კითხვარი
- უსდ-ის მიერ შემუშავებული პედაგოგიური საქმიანობის შეფასების კითხვარი
- უსდ-ის მიერ შემუშავებული ფორმა, რომლითაც დგინდება სტუდენტთა დამოკიდებულება მილენიუმსა და მისი ცალკეული ასპექტებისადმი, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების, სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების მიმართ
- 2019 წელს უსდ-ს მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- 2017 წელს უსდ-ს მიერ ჩატარებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტუდენტების მხრიდან შეფასების შედეგები
- 2018-2019 წლებში უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/ პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- 2018-2019 წლებში უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- უსდ-ის მიერ შემუშავებული პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში
- უსდ-ის მიერ შემუშავებული სამეცნიერო საქმიანობის შეფასების კითხვარი
- უსდ-ის მიერ შემუშავებული „პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში“;
- „შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის გამოყენებითი კვლევების განვითარების სტრატეგია და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები“
- პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, გაძლიერდეს უსდ-ის მუშაობა პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი აქტივობის მიმართულებით, კერძოდ, საჭიროა დაწესებულებამ იზრუნოს და წაახალისოს აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების განხორციელება

○ მიზანშეწონილია, მეტი მატერიალური რესურსი გამოიყოს პროგრამის ბიუჯეტიდან აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარების მიზნით
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უსდ აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უსდ-ს აქვს სასამართლო დარბაზი, სადაც სტუდენტებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები, რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები

კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

უსდ სტუდენტს სთავაზობს იურიდიული ელექტრონული ბაზებით სარგებლობას (matsne.gov.ge), რომლითაც ისინი შეძლებენ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოძიებას.

სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ უსდ-ს აქვს სტუდენტური პორტალი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტს დააკვირდეს მის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს სწავლების პროცესში აუცილებელ ინფორმაციას. ელექტრონულ პორტალს აქვს მიმოწერის ფუნქციაც. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები არიან კომუნიკაციაში უსდ-ის სპეციალური ელ-ფოსტის ანგარიშზე, სადაც შესაძლებელია განცხადების გაგზავნაც.

უსდ-ის განმარტებით, მათ კომპიუტერული კლასებიდან და ბიბლიოთეკიდან კომპიუტერების ნაწილი სარგებლობაში გადასცეს სტუდენტებს, რომელთაც არ ჰქონდათ პირადი კომპიუტერი. უსდ-ის აღნიშნული მიდგომა მისასალმებელია.

აღსანიშნავია უსდ-ში არსებული მოსაცდელი სივრცეებიც, რომელიც ტრადიციული სააუდიტორიო სწავლების პირობებში მნიშვნელოვანია ლექციათა შორის მოსაცდელად. ასევე, უსდ-ში გამოყოფილია სპეციალური სივრცე სამუშაო შეხვედრებისათვის, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ საქმიანი შეხვედრებით შეხვდნენ ერთმანეთს ან აკადემიურ პერსონალს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასალმებელია, რომ უსდ-მ კომპიუტერული კლასებიდან და ბიბლიოთეკიდან

კომპიუტერების ნაწილი სარგებლობაში გადასცა სტუდენტებს, რომელთაც არ ჰქონდათ პირადი კომპიუტერი
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ის მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა (2021-2022 სასწავლო წელი) საკმაოდ არაინფორმაციულია და არ არის შედგენილი სრულყოფილად. დოკუმენტში წარმოდგენილია მონაცემები შემოსავლების და ხარჯების (მათ შორის, სახელფასო ფონდი, სასწავლო რესურსი, სტუდენტური ინიციატივები და შეღავათები, სტიპენტიები, აკად. პერსონალის პროფესიული განვითარება და გაუთვალისწინებელი ხარჯები) შესახებ. ბიუჯეტის აღნიშნულ ვერსიაში არ არის წარმოდგენილი არითმეტიკული ნაშთიც კი. თუმცა, ექსპერტთა მიერ განხორციელდა ამ მონაცემების კალკულაცია, ასევე, დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა. უსდ-მ წარმოადგინა შპს - უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის 2020-2021 და 2022 წლების ბიუჯეტი. აღნიშნული დოკუმენტი მეტად ინფორმაციულია. საბოლოო ჯამში დადგინდა, რომ უსდ-ის პროგრამა მომგებიანია და არ უწევს დოტაციაზე ყოფნა. არსებობს შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისათვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უსდ-ის ადმინისტრაციას არ უწევს დამატებითი ფინანსების გაღება პროგრამის განხორციელებისთვის. საჭიროა ბიუჯეტის მეტად კონკრეტულად ჩამოყალიბება და ჩაშლა, თუნდაც სტუდენტური ინიციატივები და შეღავათების, სტიპენდიების მიმართულებით, ასევე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ჭრილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, ბიუჯეტის კონკრეტულად ჩამოყალიბება და ჩაშლა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ დამატებით წარმოდგინა შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის 2020-2021 და 2022 წლების ბიუჯეტი, რომელიც ცხადყოფს, რომ დაწესებულება დაძლევს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ხარჯებს და იქნება მომგებიანი, საერთო ჯამში თავად სამართლის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი ბუნდოვანი და არაკონკრეტულია
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შეფასების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ფორმალურად კარგად არის ჩამოყალიბებული და გაწერილი. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად.

პროგრამის შემუშავებისთვის შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც ჩართული არიან აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დამსაქმებელი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, აგროვებს პროგრამებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ურთიერთშეჯერებით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

სასწავლო პროცესში ჩართული პირების უკუკავშირის მიზნით სასწავლებელს შემუშავებული აქვს შესაბამისი კითხვარები და დოკუმენტები, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის წესი, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედგების გამოყენების პროცედურა. აღნიშნულის მიუხედავად, აკადემიურ პერსონალთან (წინასწარ შერჩეული პირებიდან რამოდენიმეს გამოცხადება ვერ იქნა უზრუნველყოფილი) ინტერვიუების დროს (რამოდენიმე გამონაკლისის გარდა) არ გამოიკვეთა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცესში. რაც შეეხება სილაბუსებს, ნაკლებად იკვეთება სილაბუსის ავტორების ინდივიდუალური მიდგომა. ექსპერტებთან საუბრისას, ძირითადმა ნაწილმა განაცხადა, რომ მათ გამზადებული სილაბუსები გადაუგზავნეს უნივერსიტეტიდან და მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები განახორციელეს. თვითშეფასების ჯგუფის

შეხვედრების ოქმებიდან და ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ ძირითადად, პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

რადგან პროგრამა პირველადი აკრედიტაციისთვის არის წარდგენილი, გასაუბრება მოხდა მომიჯნავე დარგის, საერთაშორისო სამართლის სტუდენტებთან, რომელთა დიდი ნაწილი მობილობითაა გადმოსული სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. გადმოსვლის მიზეზად დასახელდა უნივერსიტეტის ხელშეწყობა სწავლის გრაფიკთან დაკავშირებით. ერთმა სტუდენტმა განაცხადა, რომ მას საერთაშორისო სამართალი არ აინტერესებდა, მაგრამ უნივერსიტეტში დაპირდნენ, რომ სამართლის პროგრამა მალე გაივლიდა აკრედიტაციას და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა სამართლის პროგრამაზე შეეძლებოდა. ასევე, დადგინდა, რომ სტუდენტები არ არიან დაინტერესებულები და შესაბამისად, აკადემიური პერსონალის მხრიდანაც არ ხდება მიღებული შეფასებების მიხედვით დაშვებული შეცდომების განხილვა და გაანალიზება, რაც მათ დაეხმარებოდათ შედეგების გაუმჯობესებაში. ასევე, სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით, სასურველი იქნებოდა დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების პრობლემების გამოვლენა და დამატებითი აქტივობების განხორციელება.

რაც შეეხებათ კურსდამთავრებულებს, კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების პანლეში მხოლოდ ერთი მათგანის ჩართვა განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფმა მივიღეთ განმარტება, რომ დანარჩენები კურსდამთავრებულები არ ცხოვრობენ საქართველოში, და, შესაბამისად, საქართველოში არ იმყოფებოდნენ და მათი პროცესში მონაწილეობა ვერ მოხერხდა (უარი განაცხადეს ზუმით ჩართვაზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ხარისხის დოკუმენტაცია
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, პროგრამის შემუშავებასა და დაგეგმვაში აკადემიური პერსონალის რეალურად ჩართულობა, სილაბუსების შედგენა ინდივიდუალურად ავტორების მიერ

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამა წარდგენილია პირველადი აკრედიტაციისთვის, თუმცა 2014 წელს აკრედიტირებულმა პროგრამამ 2020 წელს ვერ მიიღო აკრედიტაცია. აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები ძირითადად გათვალისწინებულია პროგრამაში: გასწორდა სილაბუსები, განახლდა ინფორმაცია, პროგრამის განხორციელებისთვის მოწვეულია შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, ხელი შეეწყო პერსონალის მონაწილეობას სამეცნიერო და საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში. ამდენად, პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, რადგან წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია აკრედიტაციის ექსპერტების ზოგიერთი რეკომენდაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით ○ სამართლის საბაკალავრო პროგრამა ○ ხარისხის დოკუმენტაცია ○ ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ

პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე დართული დოკუმენტაციის შესწავლის და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების ნაწილში ხარისხის შეფასების დასადასტურებლად წარმოდგენილია მთელი რიგი დოკუმენტაცია, სადაც გაწერილია მექანიზმები აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, მათი გამოკითხვების და შეფასებების გზით როგორ ხდება ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. სასწავლებლის მიერ წარმოდგენილია სტუდენტთა კითხვარების შედეგები 2019 წლის

მონაცემებით, სადაც 179 სტუდენტიდან მონაწილეობა აქვს მიღებული 114 სტუდენტს. მათი უმრავლესობა თვლის, რომ სასწავლო კურსები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იძლევა შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას, უმრავლესობა დადებითად აფასებს სასწავლო კურსებს, მათზე დაშვების წინაპირობებსა და ლექტორების კვალიფიკაციას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი იურისტებთან მიმართებით ჩატარებულია 2019 წელს. აღნიშნულ მონაცემებს პროგრამა ვერ დაეყრდნობოდა, რადგან მისი ჩატარების თარიღიდან თითქმის 2 წელია გასული და, ასევე, გასათვალისწინებელია, თუ რამდენად შეესაბამება ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში აღნიშნული მონაცემები არსებულ რეალობას.

სასწავლებლის მიერ წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა 2019 წლის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა ჩატარებულია სტრუქტურებული კითხვარის საშუალებით, სადაც გამოკითხულია 10 კურსდამთავრებული, მათგან 5 დასაქმებულია სპეციალობით, 3 - არასპეციალობით და 2 არ არის დასაქმებული. მათ მიერ დასახელებული ძირითადი პრობლემა პრაქტიკული კურსების ნაკლებობაა, რაც წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია, რადგან ყველა მოდული საჯარო, კერძო, სისხლის სამართლის მიმართულებით სრულდება პრაქტიკული სასწავლო კურსით. ასევე, უზრუნველყოფილია მათი მოთხოვნა პროგრამაში ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლებელი იყენებს ხარისხის შეფასების და გაუმჯობესების სხვადასხვა მექანიზმს, რაც ნაწილობრივ ასახულია პროგრამაში. თუმცა, აუცილებელია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ისევე, როგორც ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების ნაწილში, ხარისხის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა მათთან, პრობლემების გამოკვეთა და ამ პრობლემებზე კვლევების და შესაბამისად, ანალიზის განხორციელება.

თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, პროგრამას გავლილი აქვს კოლეგიალური შეფასება და დასკვნის თანახმად, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი მიღწევის მეთოდები, სასწავლო კურსების შინაარსი, მოცულობა, თანმიმდევრობა და ცოდნის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, თუმცა აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის, ამდენად, ამ ნაწილში დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. ასევე, არ მომხდარა პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით
- სამართლის საბაკალავრო პროგრამა
- ხარისხის დოკუმენტაცია

○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, პროგრამის განვითარებისთვის ჩატარდეს პრობლემებზე ორიენტირებული კვლევები, რომლებიც სრულყოფილად ასახავს საჭიროებებს; ამისთვის საჭიროა ხარისხის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციასთან; მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან; განხორციელდეს შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების სისტემატური კვლევა პროგრამის რეალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ➢ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ➢ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის		√		

განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სამართალი, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 58

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ბოგვერაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მაკა კარტოზია 

სახელი, გვარი, ხელმოწერა თათია უბერი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ილია წიკლაური